

ელექტროგაბმულობის საერთაშორისო კავშირი (ITU)

წარმოადგენს საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც სპეციალიზდება ელექტროგაბმულობის სტანდარტიზაციის სფეროში. ის აერთიანებს 500-ზე მეტ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციას. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა ქვეყნების სატელეფონო, სატელეკომუნიკაციო და საფოსტო სამინისტროები, უწყებები და სააგენტოები, და აგრეთვე ორგანიზაციები-მომწოდებლები. ტელესაკომუნიკაციო სერვისის უზრუნველყოფის მოწყობილობებისა.

ITU-ს ძირითად ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ჰარმონიზებული წესებისა და რეკომენდაციების შემუშავების კოორდინირება, რომლებიც განკუთვნილია გლობალური ტელექსელებისა და მათი სერვისების აგებისა და გამოყენებისათვის. ამ წამყვანი სტანდარტიზაციის ორგანიზაციების საქმიანობა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და კოორდინირებულია. ამოიყენება თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები საერთაშორისო სტანდარტების საყოველთაო სისტემის შემუშავებისათვის. საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობა მატულობს სტანდარტების შემუშავების პროცესში სულ უფრო დიდი რაოდენობის პროფესიული ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართვით, სამრეწველო აღიანსთან თანამშრომლობის განვითარებით.